

ახალგაზრდობის სოციალ-დემოკრატი

LE JEUNE SOCIAL DEMOCRATE

გამოცემა საქ. ახალგაზრდა მარქსისტთა დოკუმენტთა სახლგარეთო დღეს და საქ. ხოც.-დემ. მ. პარტიის პარტიის ახალგაზრდათა დოკუმენტთა სახლგაზრდა.

მეოთხე რვეული. პარტიი, ივნისი 1928 წ. Paris, Juin. 1928. Quatrième cahier.

ჩვენი პარტიული პროგრამისათვის.

1.

ყოველ პოლიტიკურ პარტიას აქვს თავისი პროგრამა, ე. ი. მიზნებისა და პრინციპების მთელი რიგი, რომელთა განხორციელება შეადგენს მის არსებობისა და მოქმედების საგანს.

პროგრამა უნდა შეიცავდეს როგორც საერთო მსოფლმხედველობის დებულებებს, ისე პრაქტიკულ მოქმედების მიზნებს, რომელიც ერთი მხრით ამ მსოფლმხედველობას ემყარებიან და მეორე მხრით რეალურ პირობებთან შეფარდებული არიან.

ამიტომ არის, რომ პროგრამა ვერ დარჩება უცვლელ ასოთ, ის ცხოვრებას ანგარიშს უწევს და მას მისდევს.

დღეს, ომისა და რევოლუციის შემდეგ, არა ერთი და ორი პარტია აყალიბებს თავის პროგრამას, სცელის, რაც მოძველებულია, რასაც უკვე აღარა აქვს მნიშვნელობა და არსებულ პირობებთან შეფარდებით თავის საქმიანობას ახალ მიმართულებას აძლევს. მაგალითად, სოციალისტურ ინტერნაციონალის ორ მთავარ პარტიამ, გერმანიისა და ავსტრიისამ ახალი პროგრამა შეიმუშავა.

საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ პარტიას, რომელიც საქართველოს და მოუკიდებლობის გამოცხადებამდე რუსეთის სოც.-დემ. პარტიის ნაწილს შეადგინდა, დღემდე არა აქვს თავისი საკუთარი პროგრამა; ხოლო იველს, ე. ი. რუსეთის ს.-დემ. პარტიის პროგრამას ჩვენთვის დაეკარგა რეალური მნიშვნელობა, რისთვისაც საკუთარი პროგრამის ქონა ჩვენი პარტიისათვის ბუნებრივ და ცხოველ საკითხად მიგვაჩნია.

საქართველოს სოც. დემ. პარტიის უკანასკნელ არალეგალურ ყრილობამ დაინახა რა პროგრამის შემუშავების აუცილებლობა, აირჩია ამისათვის განსაკუთრებული კომისია. ჩვენ ვვასალმებით ამ გადაწყვეტილებას და გვსურს ამ ფრიად მნიშვნელოვან საკითხს შევეხოთ ორითდე სიტყვით.

საქართველოს სოც.-დემოკრატიული პარტიის პროგრამა უნდა შესდგებოდეს ორ ნაწილისაგან. პირველ ნაწილში ჩვენ უნდა დავახასიათოთ ჩვენი პოლიტიკური და სოციალური მოძვრების საფუძველი, ჩვენი საერთო და საბოლოო მიზნები, და მეორე ნაწილში—ჩამოვთვალოთ ჩვენი მოქმედების უახლოესი მიზნები.

სწორეთ ამ გეგმაზეა აშენებული ჩვენი პროგრამის პროექტი წარმოდგენილი ამ ხ. რამიშვილის მიერ (ხ. «ბრძოლა» № 10-11) და ეს ჩვენ უნდა დავადასტუროთ.

ჩვენ პარტია არის სოციალისტური პარტია, და როგორც ასეთი მისი მთავარი მიზანი არის სოციალიზმის დამყარება.

რა არის სოციალიზმი?

სოციალიზმი, უპირველეს ყოვლისა, არის ახალი ეკონომიკური სისტემა, რომე-

ლიც გულისხმობს საწარმოეო იარაღებზე კერძო საკუთრების მოსპობას, და შეთ გადაცემას საზოგადოების ხელში, რომელიც მაჩანშეწონილათ ქმნის წარმოების ორგანიზაციას და ნაწარმოების განაწილებას. კაპიტალისტურ სისტემის მიზანს შეადგენს მოგება, სოციალისტურისას კი—საზოგადოების მოთხოვნილებათა დაკმაყფილება.

სოციალიზმი, როგორც განსაკუთრებული კონკრეტური სისტემა თვით არის საშუალება უმაღლეს ეთიკურ მიზნის განსახორციელებლათ და სწორეთ ამ მიზნის მიღწევა ანიჭებს სოციალიზმს უმაღლეს კულტურულ ლიტერატურებას. უკვე კომუნისტურ მანიფესტში ეს უმაღლესი მიზანი ნათლათ არის დასახული: «ბურჯუაზიული საზოგადოების მაგიერათ, რომელიც დამყარებულია კლასებზე და კლასთა წინააღმდეგობაზე,—იქნება ისეთი საზოგადოება, საღაც თვითეული ადამიანის თავისუფალი განვითარება, მთელი საზოგადოების თავისუფალ განვითარების პირობას მოასწავებს».

კაპიტალის მესამე ტომის ბოლოს მარქსი განსაკუთრებული სიძლიერით ახასიათებს სოციალიზმის მიზანს, რომლის საფუძველს თავისუფლების იდეა შეადგენს. ის ხახს უსვამს ჯერ სოციალიზმის მატერიალურ შინაარსს და ამბობს: «თავისუფლება ამ სფეროში იმაში მდგომარეობს, რომ განსაზოგადოებული ადამიანი, ასოციაციაში შეერთებული მწარმოებლები თავიანთ წარმოებას (ბურჯუაზთან გაცვლა-გამოცვლას) რაციონალურათ აწესრიგებენ, მას თავის კონტროლის ქვეშ აყენებენ, იმის მაგიერათ რომ, პირიქით, თვით ბრმა ძალების ბატონობას განიცილენ,—და მას (ე. ი. წარმოებას) ასრულებენ ძალების მინიმალურ დახარჯვით და ისეთ პირობებში, რომელიც ადამიანის ლირსებას შეეფერება. მაგრამ ეს ჯერ კიდევ რჩება აუცილებლობის სამეფოთ».

შემდეგ მარქსი საბოლოო მიზანს შემდეგი სიტყვებით ასურათებს: «ამის იქით იწყება ადამიანის ძალების განვითარება, რომელიც თვითმიზანს შეადგენს, თავისუფლების ნამდვილი სამეფო, მაგრამ რომელიც მხოლოდ აუცილებლობის სამეფოს ნიადაგზე აყვავდება».

ამგვარათ კაცობრიობის განთავისუფლება—ი სოციალიზმის უმაღლესი და საბოლოო მიზანი, ი ჩევნი იდეალი.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში მუშა წარმოადგენს უბრალო საქონლის საწარმოეო იარაღს, რომლის სამუშაო ძალის ფასი ბაზარზე იმავე კანონების მიხედვით წესდება როგორც სხვა ნივთების ფასი. მუშა მოკლებრლია საწარმოება სამგალებებს და იძულებულია დაემორჩილოს კაპიტალისტს მესაკუთრეს, რომ შესძლოს ცხოვრების სახსარის მოპოვება.

ადამიანის ექსპლოატაცია ადამიანის მიერ—ი კაპიტალიზმის საფუძველი.

ინდივიდუალურ ჩაგრას თან ემატება ეროვნული ჩაგრა; თუ ჩვენ ერთ ეროვნულ საზოგადოებიდან გამოვალთ და მთელ კაცობრიობას გადაეხდავთ ძლიერი, დიდი ერი ჩაგრას მცირე ერს, ეს ისტორიის დასაწყისიდანვე არსებობს.

კაპიტალისტურ საზოგადოებამ ეროვნულ ჩაგრის განსაკუთრებული ფორმა შექმნა. ეკონომიკურათ უაღრესად განვითარებული ერი, რომელიც ერთი მხრით, მუდამ უფრო და უფრო მეტ ნედლ მასალას საჭიროებს, რომელიც ხშირათ მის საზღრებში არ არსებობს და მეორე მხრით თავის ზედმეტ ნაწარმოებისათვის ბაზარს დაეძებს, იძულებულია ეროვნული საზღვრები გადაღახოს და დამორჩილოს სხვა ქვეყნები, უფრო სუსტი და უკან ჩამორჩენილი ერები. სისტემატიკურად ეს ხდება დღეს. კაპიტალიზმის ამ მიმართულებას ჩვენ ვუწოდებთ იმპერიალიზმს.

ამგვარათ, დღევანდველ საზოგადოებაში იჩაგრება ერთი მხრით ადამიანი, მეორე მხრით ერი, რომელიც ამ ჩაგრას უსამართლოთ სთვლის და მის მოსპობისაკენ მიიღოვის. თავისუფლება მათ, როგორც სამართალი ისე აქვთ წარმოდგენილი.

სოციალისტური მოძრაობა ისახავს რა მიზანთ კაცობრიობის განთავისუფლებას, იცავს ჩაგრულ ადამიანის პიროვნებას და ჩაგრულ ერს, ემსახურება სამართლიანობას.

ამ იდეებზე ემყარება ერთულტის პროგრამა, რომელიც ასე ახასიათებს სოციალ დემოკრატიულ პარტიის მიზანს: «ერმანის სოციალ-დემოკრატიული პარტია იბრძევის არა ახალ კლასიურ პრივატურისათვის, არამედ კლასთა ბატონობის და საერთოთ კლასთა მოსპობისათვის. ყველასათვის თანასწორი უფლება და მოვალეობისათვის მიუხედავათ სქესისა და შთამომავლობისა. გამოდის რა ამ მოსახურებებიდან, პარტია იბრძევის თანამედროვე საზოგადოებაში არა მარტო მუშათა ექსპლოატაციისა და ჩაგვრის მოსპობისათვის, არამედ ყოველგვარ ჩაგვრისა და ექსპლოატაციის წინააღმდეგ, იქნება ეს მიმართული კლასის, პარტიის, სქესის თუ რასისადმი».

ეს ადგილი სიტყვა სიტყვით განმეორებულია გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის 1925 წელს ჰაიდელბერგში მიღებულ პროგრამაში.

მე ვთქიქრობ, რომ ამ წინადადებაში გამოხატული აზრი ამა თუ იმ ფორმით უნდა საფუძლავათ დაედგას ყოველ სოციალისტურ პარტიის პროგრამას.

ჩვენ პროგრამაში ჩვენი ბრძოლის და მოქმედების მიზანი შეიძლება შემდეგი წინადადებით გამოხატოს:

საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია თავის მოქმედების საბოლავო მიზნათ ისახავს სოციალიზმის განხორციელებას, რომელიც ნიშნავს კაცობრიობის განთავისუფლებას ყოველგვარ ჩაგვრა მონობისაგან, არის ეს მიმართული ადამიანის პიროვნების, ერის, სარწმუნოების თუ სქესის წინააღმდეგ. სოციალიზმი არ მოასწავებს ახალი კლასის გაბატონებას, კაპიტალისტთა ნაცვლათ პროლეტარიატის პრივატურებით აღჭურვას, არამედ ის ელტვის ყოველგვარ კლასიურ ბატონობის და თვით კლასთა მოსპობას, ყველასათვის თანაბარ უფლება-მოვალეობათა აღიარებას.

როგორც ჩვენ ვთქვით, ეკონომიურათ სოციალიზმი ნიშნავს საწარმოვო იარაღებზე კერძო საკუთრების მოსპობას და მათ მთელი საზოგადოების კუთვნილებათ აღიარებას, რომელიც თვით აწესრიგებს რაციონალურათ წარმოებას საზოგადოების მოთხოვნილებათ დასაკმაყოფილებლათ.

როგორც ასეთი, ეს ახალი ეკონომიური წყობილება ანთავისუფლებს ადამიანს ბრძან საზოგადოებრივ ძალების მონობისაგან. ადამიანი სოციალისტურ საზოგადოებაში თვით არის ეკონომიურ და სოციალურ ძალების მომწყობი და ამგვარათ მისი ბატონ-პატრონი.

თვით საზოგადოებაში ისპობა ადამიანის ჩაგრა ადამიანის მიერ, ერთი ერის ჩაგვრა მეორე ერის მიერ, ჩაგვრა სქესისა და დევნა სარწმუნოების, თავისუფალი მსოფლეფელობის, თავისუფალი აზროვნების. სოციალიზმი მოასწავებს ახალ ზნეობას, პიროვნებისა და ერისადმი პატივისცემას, მათ თვითმიზნათ და არა მარტო საშუალებათ აღიარებს, საერთო სოლიდარობას. ეს ახალი ზნეობა ითხოვს ადამიანის სულიერ გადაქმნას, მასში ეგოისტურ, ინდივიდუალისტურ თვისებების ნაცვლათ სოციალურ სოლიდარობის გრძნობას, სოციალურ აზროვნობის განვითარებას.

უამისოთ სოციალიზმის მიზნის განხორციელება შეუძლებალია. პირადი თავისუფლება თავის ეგოისტურ მისწრავებების განსახორციელებლად ხშირად სხვა ადამიანთა ინტერესების და კეთილდღეობის წინააღმდეგ—ეს ბურუუზიული იდეოლოგიის საფუძველია.

სოციალისტურ ადამიანში პირადი ინტერესი, პირადი თავისუფლება—სოციალურ პასუხისმგებლობის, საერთო სოლიდარობის გრძნობა და შეგნებასთან, საერთო თავისუფლებასთან—უნდა ჰარმონიულ ერთობაში თავსდებოდეს.

ეს არის ჩვენი იდეალი, იდეალი არა მატერიალისტური, არამედ უაღრესად მორალური, იდეალისტური.

რას ვემყარებით, როდესაც ჩვენ გვწამს, რომ ეს იდეალი განხორციელდება?

არის ეს მხოლოდ ჩვენი სურვილი, თუ განსაკუთრებული აბიექტიური პირობების აუცილებელი შედეგი? რანაირათ ვასაბუთებთ ჩვენ სოციალიზმს, როგორც იდეალს? სოციალიზმის დასაბუთება შეიძლება ორნაირათ მოხდეს:

ჯერ მეცნიერულ თვალსაზრისით, აბიექტიურათ, თეორიულათ, შემდეგ პრაქტიკულ-სუბიექტიურ თვალსაზრისით.

ყოველივე სოციალური მოძღვრება, თეორია, შეიძლება ჩვენ მეცნიერულათ და- გასახოთ, თუ ის კაუზალურ საფუძველზეა აგებული და განსაკუთრებულ აუცილებელ კანონებს ემყარება. მეცნიერების მიზანია ისეთი მცნების, ისეთი ცოდნის თვალსაზრი- სის შექმნა, რომელსაც კანტის თქმის არ იყოს, აპოლიქტიური ხასიათი აქვს, ესე იგი ყოველ აბიექტიურ მოაზროვნესავან ალიარებულ უნდა იქნეს, როგორც ერთი ერთი შესაძლებელი. ეს კი შესაძლებელია მხოლოდ კაუზალური (მიწეზობრივი) მეთოდის საშუალებით, რომელსხედაც ემყარება ისტორიული დეტრამინიზმი.

კაუზალური მეთოდის ალიარება ისტორიაში ნიშნავს საზოგადოების განვითარე- ბის კანონიერებას, ე. ი. ისტორიულ აუცილებლობის ალიარებას. ისტორია, როგორც მეცნიერება მხოლოდ ამ მეთოდის თვალსაზრისით არის შესაძლებელი. აი სწორედ ამ მეთოდს ემყარება მარქსიზმი, როდესაც ის აცხადებს, რომ თანამედროვე საზოგადოე- ბის განვითარება ხდება განსაკუთრებული მიმართულებით, რომ ერთ საფეხურზე იბა- დადება ისეთი პირობები, რომელიც სოიალიზმის განხორციელებას აუცილებლათ ხდი- ან. ეს არის სოციალიზმის განხორციელების მეცნიერული საფუძველი და ჩვენ, ვრჩე- ბით რა მარქსისტები, ვალიარებთ ჩვენი იდეალის განხორციელებას, როგორც ისტო- რიულ განვითარების აუცილებელ შედეგს.

სოციალიზმის დასაბუთება შეიძლება აგრეთვე სხვა გზით, სახელმობრ სუბიექ- ტიურად, მისი ალიარება არა როგორც ისტორიულ ვითარების შედეგი, არამედ რო- გორც ლირებულება, როგორც ადამიანის ეთიკურ სურვილის ნაყოფი.

ეს არის მებრძოლის თვალსაზრისი და არა მიუღიომელი ისტორიკოსის მსჯავრი. მხოლოდ ეს თვალსაზრისი, თუ სოციალიზმის კულტურულ ლირებულებას ნა- თელყოფს, ის ვერ ამტკიცებს მის შესაძლებლობას, მის ისტორიულ აუცილებლობას.

მებრძოლი არ კითხულობს რატომ არის სოციალიზმი აუცილებელი, მისი კით- ხვა ასე სდგას: არის სოციალიზმი სიკეთე თუ არა და რაკი ის ამ კითხვას დადებითად სწყვეტს, ის იბრძვის მის განსახორციელებლათ.

ამ ორ თვალსაზრისის შორის არ არის წინააღმდეგობა, და მათი ერთ მსოფლ- მხედველობაში მოთავსება შესაძლებელია.

ადამიანი, რომ სოციალისტი იყოს არ არის აუცილებელი, რომ მან მარქსიზ- მის კაუზალური მეთოდი, როგორც უტყუარი თეორია ალიაროს, ამისთვის საკმარი- სია, რომ მას სოციალიზმი სურდეს. დღეს ეკრობაში ბევრია სოციალისტი, რომელიც სოციალიზმს მხოლოდ ეთიკურათ ასაბუთებს, იქნება ეს კანტის ან ქრისტიანული ეთიკა თუ სხვა რამ.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ სოციალისტური მოძრაობა არ უნდა ეყრდნობოდეს მხო- ლოდ ეთიკურ იდეალობის, არამედ აგრეთვე მარქსიზმს, როგორც მის მეცნიერულ საფუძველს.

მარქსიზმი არ უარყოფს ეთიკას, ის მას ხსნის, როგორც ისტორიულ ფაკტორ- თა კაუზალურ ჯაჭვის ერთ ერთ რეოლს. მაგრამ ეთიკური იდეალიზმი ჰა- მოკიდებული უნაყოფო რჩება, თუ მას სოციალურ პირობებში არ აქვს ფესვი გა- მაგრებული.

ჩვენ ვაღვიარებთ სოციალიზმს, როგორც დიდ ზენობრივ იდეალს, ახალ კულ- ტურულ ლირებულებას და მასთან ერთად ჩვენ ვამტკიცებთ მის აუცილებლობას.

ეს თვალსაზრისი უნდა ნათლათ სჩანდეს ჩვენს პროგრამაში. ამ წერილში ჩვენ დავახასიათეთ ჩვენი იდეალი, შემდეგ წერილში ჩვენ განვითარების, ტენდენციებს, რომელიც ამ იდეალის განხორციელებას აუცილებლათ ხდიან.

მ. სუნდამე.

ჩვენი ახალგაზღვის მებრძოლი დრგანიზაცია.

ჩვენი გამოცემის მიმღინარე ნომერში იბეჭდება, საქართველოდან მიღებული, მეტათ საინტერესო მოხსენება საქართველოს ახალგაზღვა მარქსისტთა ორგანიზაციის მდგრმარეობის შესახებ. კითხულობა ამ მოხსენებას და ნათლით გეხატება ქართველი ერის გამათავისუფლებელი მოძრაობის სისამდვილე და თვალწინ გიღგება ვერაგი მტრის მიერ აწინებული ქართველი ხალხი და გაჩანაგებულისამშობლოს მიზნები; კითხულობა ამ წამების ცოცხალ სურათებს და ცახადათ წარმოდგება საქართველოს ყველა მებრძოლი ძალები და კერძოთ ჩვენი ამხანაგების გმირული ბრძოლა და თავგანწირვა...

ჩვენი ახალგაზღობა დგას თავისი მშობელი ერის სადარაჯონე მებრძოლი სოციალ-დემოკრატიის გვერდით მხნეთ და მამაცურათ. მისი მწყობრი რიგები აღნავ ვერ შეარყია მტრის სისასტიკემ, ის ვერ გასტეხა მრავალმა მსხვერპლმა და ხანგრძლივმა ბრძოლამ. ათასი ახალგაზღვა დავკარგვთ მწვავე ბრძოლაში, საშინელ წამებაში დალიეს სული ჩვენი ორგანიზაციის ლირსეულმა ხელმძღვანელებმა, ათასი საუკეთესო ამხანაგი გამომწყვდეულია საქართველოსა და ციგ რუსეთის ციხეებში. ათასობით კი მციროთ შეკავშირებული ჩვენს ორგანიზაციაში განაგრძობს მედგარ ბრძოლას ჩრდილოეთის ურდოებთან და ელტეის საოკუპაციო რეჟიმის დამხობას.

ქართველი ერის გამათავისუფლებელი მოძრაობის მთელი საძლიერე მის ორგანიზაციულ და პოლიტიკურ დარჩემვაში უნდა ვეძიოთ. ეს კი სავსებით საქართველოს სოციალ-დემოკრატიის ლვაწლია. თუ ქართველი ხალხი ვერ გასტეხა საოკუპაციო მთავრობის საშინელმა რეპრესიებმა და ის კვლავ განაგრძობს ბრძოლას თავისუფლებისათვის ეს უპირველეს ყოვლისა სოციალ-დემოკრატიის 30 წლის მოღვაწეობას მიეწერება. როგორც წინეთ ისე დღესაც ს.-დემოკრატია ეწევა ქართველ ხალხში ორგანიზაციულ-პოლიტიკურ მუშაობას და სწორეთ ეს არის თავდები ჩვენი მოძრაობის გამარჯვების.

ძლიერი პოლიტიკური ორგანიზაციებით 1917 წლის რევოლუციაში ქართველი ხალხი გამარჯვებული გამოვიდა და ს.-დემოკრატიის ხელმძღვანელობით მან მოიპოვა საქართველოს დამოუკიდებლობა, და დაიმკიდრა დემოკრატიული წყობილება, ამით ქართველ ერის ნორმალური განვითარებისთვის შესაფერო პირობები გაუჩნდა. მოუმხადებელი რუსის ხალხი კი ანარქიაში გადავარდა და დიკტატურის უდელი დაიდგა. საუბედუროთ ამ ტირანის მსხვერპლი სხვებთა შორის ჩვენი მოძრაობის გამარჯვების.

დღესაც დაახლოვებით მეორედება 1917 წლის მავრითი. საბჭოთა ხელისუფლების ლიკვიდაცია მოახლოვებულია, მხოლოდ შიდა რუსეთის ხალხი კვლავ დაქსჭისული და მოუმხადებელია. უდაოს საბჭოთა რეების მექვიდრე რუსეთში კიდევ ანარქია და შესლა-შემოხლა იქნება. ქართველი ხალხი კი მებრძოლი სოციალ-დემოკრატიის მეოხებით საესხებით მომზადებულია საოკუპაციო რეჟიმის მექვიდრე განხდეს და აღადგინოს ქართველი ერის სუვერენიტება. აი ამაშია ჩვენი მებრძოლი ახალგაზღათა ორგანიზაციის დანიშნულება და მისი მოწოდება.

რამოდენიმე ათასი ახალგაზღვა მებრძოლი ერთი მიზნით გატაცებული და ძლიერი ნებისყოფით შეიძლოებული უღიდეს ძალას წარმოადგენს. მებრძოლ ქართველ ერზე სოციალ-დემოკრატიის შემდეგ მეორე მთავარი მებრძოლი და აქტიური ძალა დღეს ეს ჩვენი ორგანიზაციაა და ამას მიეწერება მისი გავლენის გაძლიერება ქართველ ახალგაზღათობაში.

საქართველოს ბერი უპირველეს ყოვლისა იქ საქართველოში წყობება. ჩვენ ყოველნაირად მომზადებული უნდა შევსდეთ მოახლოვებულ ბოლშევიკების ლიკვიდაციას და თავიდან ავიციინოთ მოსალონქელი ანარქია და არევ-დარევა. ეს კი მხოლოდ მებრძოლობი სოც. დემ. შეუძლია. დამასლეთ სოც. დემ. ორგანიზაციები და ქართველი ხალხიც გატყდება და მისი ძალები დაიქსავსხება. თუ ქართველი ერი გატყდა და მან დაკარგა ბრძოლის უნარი მაშინ ანაირი ხელსაყრელი პირობები არ უნდა დაგვიდეს საგარეო იქნება ის თუ საშინაო ქართველი ხალხი მას თავის დროზე ვერ გამოიყენებს და ერის განთავისუფლების საქმე დიდი ხეით შეფერდდება და მას ფიზიკური განადგურება მოელის.

ჩევნი საგარეო პოლიტიკური მდგომარეობა დღეს უკვე სათანადოთ მტკიცეა უცხოეთში გამოხიზული ჩევნი მთავრობის ნაყოფიერი მუშაობით. ეხლა საჭიროა მებრძოლი საქართველოს სოციალდემოკრატიის რიგების კიდევ უფრო მწყობრათ დარაზმევა და მისი ძალების გაძლიერება. საქართველოში დღეს მზგავსათ 1917 და 18 წლისა არ არსებობს სხვა ძალა გარდა სოც. დემ-ისა, ამის საუკეთესო მაგალითი საქართველოს 1924 წლის აგვისტოს აჯანყებამ. გამოსვლების ადგილებში აჯანყებამ მხოლოთ იქ მიიღო მასიური ხასიათი, სადაც სოც. დემოკ. ორგანიზაციები ძლიერი იყვნენ. ერთი სიტყვით ქართველი ერის განთავისუფლების საქმე მხოლოდ სოც. დემოკ. ორგანიზაციაზეა დამოკიდებული. ეს კარგათ ესმის ჩევნს ორგანიზაციას და მისი საქმიანობა დღეს ქართველი ახალგაზრდობის ორგანიზაციულათ დარაჯიოთ და პოლიტიკურ ბრძოლაში გაწვრთვინით განისაზღვრება.

ორგანიზაცია და კიდევ ორგანიზაცია. აი ჩევნი სადღეისო ლოზუნგი. ორგანიზაცია მჭიდრო და მძრღვი აი ჩევნი ახალგაზრდობის საქმიანობის მთავარი ლერძი მიმდინარე მომენტში. ჩევნდა სასიხარულოდ სწორედ აქეთკენა მიმართული ჩევნი ახალგაზრდობის ხელმძღვანელების ყურადღება და გასული წლის თავზე ეს საქმე მას უკვე შესრულებული ქონდა.

ცხადია ჩევნი მებრძოლი ახალგაზრდობის გზა და მისი შეხედულებანი საქართველოს განმათავისუფლებელ მოძრაობაზე იგივეა. რაც მებრძოლი სოც.-დემოკრატიის. ამას ხაზგასმით აღნიშვავენ ჩევნი ამხანაგები და ეს სრულიათ ბენებრივი მოვლენაა. ჩევნი ორგანიზაცია ხომ საქართველოს სოც.-დემოკრატიის პირმშო შეილია, მისი შემადგენელი ნაწილი და მისი რეზერვი. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა და დემოკრატიის განმტკიცება აი რა შეადგენს მისი საქმიანობის მთავარ საგანს მიმდინარე მომენტში. «საქართველო ვერ აღორძინდება ვერც კულტურულათ და ვერც ეკონომიკურათ თუ მან ვერ აღადგინა თავისი დაკარგული დამოუკიდებლობა», ვკითხულობთ ამ მოხსენებაში და ეს დებულება მისთვის სავსებით გადაწრილი და ნათელია. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა დაუბრუნებს ჩევნს ორგანიზაციას ნორმალური მუშაობის პირობებს და ისიც აქეთკენ მიისწრავის შთელი თავისი არსებით. და ჩევნ ვეუბნებით იქ ანთებულ ცეცხლში მებრძოლ ჩევნს ძვირფას მევობრებს, ეს დრო მოახლოვებულია, დესპონტის დღები დაფლილია.

ჩევნ სრულიათ სწორეთ და მიზანშეწონილათ მიგანინა ორგანიზაციის ხელმძღვნელ ორგანოს მიერ შემუშავებული მუშაობის გეგმა და მისი ორგანიზაციული წყობა. ეს გეგმა სავსებით შეფარებულია ჩევნს დოკუმენტებით და გამომდინარეა მისი სწორი ანალიზიდან. სწორეთ ამ წესნე აგებულ ორგანიზაციას შეუძლია გაუძლოს მტრის გააფთრებულ იერიშებს და შესაფერ დროს კვლავ გაიშალოს და გაფართოვდეს. ჩევნდა საბეჭიროთ ორგანიზაციის საქმიანობას ეტყობა საქმართ მომხადებული და გამოცდილი სათანადო სიმაღლეზე დგომა. ამ ჩიგათ ჩევნ სრული საბუთი გვაქვს ვაფიქროთ, რომ საქართველოს განთავისუფლების საქმე საიმედო მებრძოლთა რაზმის ხელშია და მისი მომავალი სავსებით უზრუნველყოფილია.

დეკ. ამტკიცოს ერთის მხრით ქართველი ხალხის სისხლით გალადებულმა მტერმა, რომ მან თითქოს დაიპყრო და გასტეხა ქართველი სოციალდემოკრატიული ახალგაზრდობა, და მეორეს მხრით ინუგეშის თავი აქ გადოხევეწილმა ლრიოდე გზადაბეჭულმა, რომ ქართველი ახალგაზრდობა მას მიყვება და მასზე ლოცულობს. ამის უფლებას მათ არავინ წარმოევს და ყველაფერი სულ მაღლ აი იქ გარდამწყვეტ ბრძოლაში გამოჩნდება და ჩევნი დარაჯმული ორგანიზაცია ლირსეულ პასუხს გასცემს ერთსაც და მეორესაც.

ჩევნის ღრმა რწმენით ბრძოლაში გაკაუებული ჩევნი ახალგაზრდობა ბოლომდე იდგომება თავის ლირსეულ პოსტზე და პირნათლათ შეასრულებს თავის მოვალეობას მშობელი ერისა და ბრძოლაში დალუბული ამხანაგების წმინდა სსოვნის წინაშე. ამ რწმენით, ამ იმედით ჩევნ მსურვალეთ მივესალმებით ჩევნს მებრძოლ ახალგაზრდობას და უსურვებთ მათ მხნეობას და სულიერ სიმტკიცეს მოახლოვებული გადამჭრელი ბრძოლისთვის.

შ. ბერიშვილი.

წერილი საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის წევრთა კონფერენციაზე

(ჩვენ მივიღეთ საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალურ კომიტეტისაგან ვრცელი მოხსენება ჩვენი ორგანიზაციის მუშაობის შესახებ, რომელსაც აქვე ვძებულოვთ ზოგიერთ წმინდა ორგანიზაციულ-ტექნიკური ხასიათის აღვიღების გამოყლებით).

საქარ. ახ. მარქსისტთა ორგანიზაციის საზღვარგარეთელ დელეგაციას.

ძეგიდასო ამხანაგებო, გაწვდით ზოგიერთ ცნობებს ჩვენი ორგანიზაციის ცხოვრებიდან:

1. ჩვენი ღმისამართის ხასიათი.

ჩვენი ორგანიზაციის მიზანი მისი დაარსებისას, როგორც იცით, იყო ქართველი ახალგაზრდობის შემოყრება თავის გარშემო და მათში მარქსისტული მსოფლმხედველობის გავრცელება, რათა ამ გზით სოციალდემოკრატიულ პარტიისათვის აღხარდა თეორეტიკულად მომხადებული მებრძოლინი. ორგანიზაცია ცდილობდა რაც შეიძლება განხე მდგარიყო პოლიტიკურ ბრძოლის ასპარეზიდან. მართალია ზოგი მისი წევრი იმ თავითვე დებულობდა აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ ცხოვრებაში. შავრამ ეს ხდებოდა პერსონალურად. ორგანიზაციის წრეებში არასოდეს არ ყოფილა აზრი მისი პოლიტიკურ ორგანიზაციათ გადაწყვევისა, თუმცა ასეთი მოთხოვნილებანი ხშირად ყოფილ წამოყენებული ორგანიზაციაში შემაგალ მობოლმეციკ ახალგაზრდების უმნიშვნელო ჯგუფისგან. ასე იყო საქართველოს ოკუპაციამდე.

2. ღვეუპარი და მისი შემოქმედი.

1921 წლის თებერვალში საქართველოს იარაღით დაბურობაში რუსეთის წითელ ლაშქრის მიერ, სულ სხვა მდგრადებობაში ჩააყენა ჩვენი ორგანიზაცია. ორგანიზაციაში დაისვა საკითხი: როგორ მოვიქცეთ, დავრჩეთ ძევლებურათ კულტურულ მუშაობის ნიადაგზე, თუ დავიწყოთ ბრძოლა იმ რეების წინააღმდეგ, რომელიც ძალით მასხვის თავზე ჩვენს ქვეყანას და რომელიც ძირითადად ეწინააღმდეგება ჩვენს ბუნებას. მიუხედავათ ჩვენ მტრული განწყობილებისა კუპაციისადმი, ჩვენი ორგანიზაციების უკანასკნელმა ლეგალურმა კანცელერებიამ 1921 წელს მაინც გადასწყვიტა თითქმის ერთხმად დარჩენილიყო ძევლ კულტურულ მუშაობის ნიადაგზე და მორიცებოდა ხელისუფლებასთან პოლიტიკურ ბრძოლაში ჩაბმას. საკუპაციო მთავრობაში არ შეიწყნა ჩვენი ასეთი გადასწყვეტილება და არ მოისურვა, რომ ჩვენს ორგანიზაციას განეგრძო თავისი მუშაობა და ის ყრილობის დასრულების მეორე დღესვე დაშლილათ გამოაცხადა. ეს არც იყო გასაკვირალი, რადგანაც ჩვენთვინაც და ხელისუფლებისთვისაც ნიათელი იყო, რომ მარქსისტული მსოფლმხედველობის გავრცელება ძირს უთხრიდა და ასამარტინობა სიყალბეს ყოველნაირათ ჩამორჩენილ რუსეთში სოციალიზმის დამარტინობის შესახებ, რომელსაც ბოლშევიკები მარქსის სახელით ასაღებდნენ. მარქსიზმი ყველაზე სასტიკი მტერია რუსულ ნიადაგზე წარმოშობილი იდეოლოგიის, რომელსაც კომუნისტები ლენინიშვნების უწოდებდნენ.

3. არალევებლივბა.

რასაკვირელია ორგანიზაცია ვერ დაემორჩილებოდა ოკუპანტების განაჩენს და ის არალევებლურ ნიადაგზე გადავიდა. არალევებლურ პირობებში კულტურულ-განმანათლებელ მუშაობის წარმოება, რაც ჩვენი ორგანიზაციის უმთავრეს მიზანს შეადგენდა, მეტად ძნელი შეიქნა. ორგანიზაციას თავის ძევლებურ მუშაობის საშუალებას მხოლოთ ოკუპაციის მოხსნა და დამოუკიდებელ დემოკრატიულ საქართველოს აღდგენა მისცემდა.

თავისთვავად შექმნილი მდგომარეობის გამო კულტურულ მუშაობის მომენტი მეორე რიგში დადგა, ხოლო პოლიტიკური კი პირველში. ორგანიზაცია თავისი წარმომადგენლის სოც.-დემ. პარტიის ცეკაში შეყვანით, საესებით დაუკავშირდა მას და მისი ხელმძღვანელობით დაიწყო პოლიტიკური მუშაობა ხელისუფლების წინააღმდეგ. ჩვენი ხელმძღვანელობით ხდებოდა ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობის ცნობილი გამოსვლები საკუპაციო ხელისუფლების წინააღმდეგ 1921 და 1922 წლებში. ჩვენი ცეკას ინიციატივით შედგა აგრეთვე ქართველ სტუდენტთა პარიტეტული

კომიტეტი და მოწაფეთა საქალაქო კავშირები 1921 წლის დამლევს, რომლებიც თით-თქმის ყველგან არსებოდენ აგვისტოს აჯანყებამდე და ხელმძღვანელობდენ ქართველი ახალგაზღობის განმათავისუფლებელ მოძრაობას. ცეკას ჰქონდა თავისი საკუთარი გამომცემლობა. მან მოახერხა არალეგალური უზრნალის და მრავალი ფურცელის გამოშვება. აქედან იწყება ჩვენი ორგანიზაციის კიდევ უფრო სწრაფი ზრდა და მისი გავლენა ერთი ორად ძლიერდება.

4. მტერის იქრისტები.

მტერს არ შეეძლო არ შეემჩნია ეს, და მანც დაიწყო შემოტევა ჩვენს წინააღმდეგ. ამუშავდა ჩვენის აპარატი და მისი ნესტინი სარდაფი აიგოს ჩვენი საკუთესო ამხანა-გებით. თითქმის მთელი შემადგენლობა ცენტრალურ კომიტეტისა და აპატიმრეს. წა-მებას არ ქონდა საზღვარი. წამებისაგან ჭყუაზე შეიმუშავენ ორგანიზაციის აქტიური წე-ვრები: კირ. წილოსანი და მიხ. ტულუში. საშინელ წამებაში დაღია სული ჩვენი ორ-განიზაციის აქტიურმა წევრმა ვიგორებინის ქალმა, რომელსაც წამებისაგან გვერდები და მკალევები ჰქონდა დამტვრეული. ქურდულათ მოიპარეს და რამოდენიმე თვის გან-მავლობაში სცემეს და აშიმშილეს ჩვენი ცეკას წევრი ალ. კალანდაძე. ჩეკის ჯურლუ-ლებში ჯდომამ იმსხვერპლა ჩვენი დაუგიწყარი ამხანაგი, ცეკას თავმჯდომარე და ორ-განიზაციის ლირსეული ხელმძღვანელი დათიკო ლომთაძე. აწამებდენ არა ერთეულებს არამედ ათეულებს. მათი ჩამოთვლა აქ შეუძლებელია.

ჩეკას ეგონა ამ დევნით და წამებით ორგანიზაცია მოშავლა და წინააღმდევობის უნარი დაუკარგა. დაშლის საქმის საბოლოოთ დასავირგვინებლად მან 1923 წელს და-იწყო ჩვენი ორგანიზაციების «ლიკვიდაცია». ამ მიზნით ჩეკას ფულით და მისივე ხელ-მძღვანელობით დაარსდა ე. წ. «სალიკვიდაციო ბიურო».

5. ბრძოლა ლიკვიდატორებთან.

ვინ იყვნენ ლიკვიდატორები? ესენი იყვნენ ან ორგანიზაციისათვის სრულიად უწნობი პირები, რომელნიც არგანიზაციაში შემთხვევით მოხვდენ ან ისეთები, რომე-ლიც არგანიზაციაში მუდამ ცნობილი იყენენ როგორც ინტრიგანები და გაუსწორე-ბელი დეზორგანიზატორები. არც ერთი მათგანი არ იყო საკუუპაციო ხელისუფლება-სთან არალეგალურ ბრძოლის მონაწილე. ამ ხნის განმავლობაში არ ყოფილი არცერთ არალეგალურ უჯრედის წევრი და თავის თავს ას. მარქსისტს უწოდებდენ იმდენათ, რამდენი 1921 წლამდე ითვლებოდნ ჩვენი ორგანიზაციის პასიურ წევრებათ. ჩეკამ მონახა შესაფირი ხახი, მათ გარდა არავინ არ მიიღებდა ჩეკის სამარცხვინო წინადა-დებას. ჩვენმა ორგანიზაციამ სასტიკი დეზოლა გამოუცხადა ამ არამკითხე მზრუნვე-ლებს. მათი ჩაჩუმება ჩვენთვის არ იყო ძნელი, რადგანაც ისინი ჩვენს რიგებში არავი-თარი გავლენით არ სარგებლობდენ და არც იმდენი ცოდნა ქონდათ, რომ თავისი ლი-კვიდატორობა დაეცათ. მაგრამ მათ ჰყავდა ძლიერი მფარველი—ეს იყო ჩეკის აპარა-ტი თავისი ინკვიტიციით. ჩვენი ანტილიკვიდატორული მუშაობაც შეფარდებულ იქნა ამ გარემოებასთან. სალიკვიდაციო კრებაზე ესწრებოდნ ჩვენი ამხანაგები. შემდეგ გა-ნსაჭღრულ მომენტში დასაბუთებულ გამოსვლებისა და პროცესტების შემდეგ სტო-გებონენ კრებას. კრებაზე დარჩენილ ლიკვიდატორთა და დაშინებულთა მცირე ჯგუფ-ში რჩებოდა რამოდენიმე ჩვენი აქტიური ამხანაგი, თითქოს გალიკვიდატორული. მათი კრებაზე დარჩენით გახარებული ლიკვიდატორები სრულიად საქართველოს «სა-ლიკვიდაციო ყრილობაზე» სწორეთ მათ იჩქევდნ, როგორც უფრო ავტორიტეტულთ და მომხადებულთ.

ამ რიგათ «სალიკვიდაციო ყრილობაზე» თითქმის უმრავლესობა ლიკვიდატო-რის ნიღაბ ქვეშ მყოფი, ჩვენი ამხანაგები მოხდენ, რომელთა კრიტიკის ქარცეცხლში გაატარეს, როგორც ლიკვიდატორთა გამცემლური საქციელი, ისე ხელისუფლების ჯალათური პოლიტიკა. სათანადო დეკანალის წაკითხვის შემდეგ მათ მიატოვეს «ყრილობა» და მით ის ფაქტიურად ჩაშალეს. ჩეკის დაწყებული საქმე სამარცხვინოთ დამთავრდა. აუარებელმა ფულმა და შრომამ ტყუილად ჩაიარა. ჩვენი არგანიზაცია არ გამოდგა მოშლილი და მოქანცული. ციხეში გამომწყვრეულ მეთაურების მაგივრათ მას ახალი მეთაურები გამოუჩნდა და ლიკვიდაციის მაგივრ ის ამ ბრძოლიდან კიდევ უფრო განმტკიცებული გამოვიდა. ეს ნათელი გახდა 1924 წლის აგვისტოს აჯანყე-ბის დროს.

6. აგვისტოს აჯანყება და ჩვენი ღრგანიშაცია.

მოსკოვის აგენტებს და ჩვენს ორენგატებს თუ დაუჯერებთ აგვისტოს გამოსვლები იყო უკმაყოფილო თავად-აზნაურების და ხუცების ჯანიკი. მაგრამ ყველა დანარჩენთათვის ვინც ამ დროს საქართველოში იყო, ეს იყო არა ჯანიკი და ისიც უკმაყოფილო თავად-აზნაურების, არამედ ნამდვილი რევოლუცია, მთელი ერთი შეერთებული გამოსვლა თავისუფლების და დამოუკიდებლობისათვის. უმთავრესი მონაწილენი ამ გამოსვლების იყვნენ სოფლის მშრომელნი და ქალაქის მუშები, ხოლო ამათი პოლიტიკური ხელმძღვანელი საქ. სოც.-დემოკრატიული პარტია. ჩვენი ორგანიზაციები ცხადია ვერ დარჩებოდნ ამ დრიად მოძრაობის უბრალო მაუზრებლის როლში. არ დავიწყებთ თავის ქებას, მაგრამ იმ მსხვერპლის მიხედვით, რომელიც ჩვენ გავიღეთ ამ ბრძოლაში, აშკარაა თუ რა მონაწილეობა მიიღო ჩვენმა ორგანიზაციამ ამ გამოსვლებში, და ეს სწორეთ მაშინ, როდესაც ჩვენი ორგანიზაცია დაშლილათ და გამქრალათ იყო მტრის მიერ გამოცხადებული.

მეტად მწვავედ იგრძნო ორგანიზაციამ აგვისტოს დამარცხება. საუკეთესო ამხანაგები დახვრეტილ იქნა ჩეკის ჯალათების მიერ. დახვრეტილთა შორის არიან ორგანიზაციის უაქტიურესი წევრები: ამს. გ. ჯანელიძე, პეტრე დოლიძე, პავლე სვანიძე, გ. ფირცალაშვილი, გ. კაპანაძე, ა. ჭელიძე, ი. შარაშიძე, ფ. კეკელიძე და მრავალი სხვები. საერთო რიცხვი ამ დღეებში დახვრეტილ ამ. მარქსისტებისა უღრის დაახლოებით 600-700 კაცს. გადასახლებულთა რიცხვი ამავე ღროსთვის უდრის 100 ს; ვიმეორებთ ეს არის დაახლოებითი ცნობები, სწორი ცნობების შეკრება, თუ რამდენი დაიხვრიტა გაუსამართლებლად საქართველოს სხვადასხვა კუთხეებში დღეს ყოვლად შეუძლებელია, სინამდვილეში კი გამოებულ მსხვერპლის რაოდენობა გაცილებით უფრო დიდია.

7. აგვისტოს შეშედება.

მიუხედავათ ასეთი საგრძნობი დამარცხებისა ჩვენი ამხანაგები მანც არ დაბნეულან და აგვისტოს მარცხის რამდენიმე თვის შემდეგ ჩვენი ორგანიზაციები კვლავ აღდგენილი იყო. ორგანიზაციის კვლავ შეუდგა თავის ჩვეულებრივ სამუშაოს. ახალგაზრდობის დარაზმებას ხელისუფლების წინააღმდეგ, მაგრამ მუშაობის ამ პერიოდში ორგანიზაცია ერთობოდა აშკარა გამოსვლებს და ცილიობდა აჯანყებაში მიღებულ ჭრილობების მოშემდებას. აქედგან თავისითავად გადაწყდა ორგანიზაციაში ახალ წევრთა მიღება შეჩერებულიყო და მოგვევლი იმისთვის რაც იყო. ორგანიზაცია მოწყობისე, რომ შესაძლო იყო ყოველ შემთხვევისათვის მისი გაშლა და გაფართოვება.

8. კვლავ რეპრესიები.

ხელისუფლებას ევონა აგვისტოში დაღვრილ სისხლში ჩაახჩო ქართველი ერის ყოველგარი მამდრავებელი ძალა და მისწრაფება თავისუფლებისაკენ, ვერ წარმოეგინათ თუ აგვისტოს მარცხის შემდეგ ანტისაბჭოთა ძალები კვლავ წელში გასწორდებოდნ. მათ სხვებთან ერთად ჩვენი ორგანიზაციებიც განადგურებული ეგონათ. ამით აისწნება აჯანყების შემდეგ რეპრესიების აღნავ შესუსტება. მაგრამ დახეთ საკვირველებას! მტერი აქაც მოსტყუდა ანგარიშში, სოც. დემოკ. პარტიასთან ერთად ჩვენი ორგანიზაციაც კვლავ ალიმართა გალალებულ მტრის წინაშე და ბრძოლა გაჩაღდა. ჩეკამ დაკვარება წონასწორობა და კოველგვარ წომიერებას აცდა. კვლავ დაწყობითი და დამე ჩვენს წევრებზე ნადირობა. ისევ ხერეტა, ქუჩებში ქურდულა ამხანაგების მოტაცება, წამება და გადასახლება ციი რუსეთისაკენ. ცუდ ღროს დაგატყდა თავს ეს რეპრესიები. ორგანიზაციას ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოშემდებული აგვისტოს ჭრილობები და მის რიგებს ისევ აგლეზდნ საუკეთესო მებრძოლებს. ამ ღროს დაკვარებთ ჩვენი საუკეთესო ამხანავი ღრადობისან (ცეკას წევრი), რომელიც დახვრეტეს 1925 წელს იანვარში 9 ახალგაზდა მარქსისტთან ერთად (ესენი ყველა მუშები იყვენ). გადასახლებულთა ეტაპებს, რაც ხშირი მოვლენა იყო, ყოველთვის მიყვებოდა რამდენიმე ათეული ჩვენს წევრები. არც ციხე და ჩეკის ჯურულმულები იყო თავისუფალი. ორგანიზაციას მოწყობა საუკეთესო კადრი მუშაკების და მისი მუშაობაც შესუსტდა, ხელმძღვანელობაც შეიცვალა. ის ვერ გამოიდა საკმართ ფხაინი. პირველათ 1921 წლ. შემდეგ შეიქმნა ასეთი მდგრმარეობა ჩვენს ორგანიზაციაში. მაგრამ ესე დიდხანს ხომ ვერ გასტანდა. იზრდებოდნ ახალი ძალები და დახვრეტილ და გადასახლებულთა აღგილებს ისინი იჭერდენ.

9. 1927 წელი აღვთმინდის ხანა.

თუ 1925-26 წელი იყო ორგანიზაციის დასუსტების ხანა, 1927 წელი ჩაითვლება ორგანიზაციული მუშაობის აღორძინების ხანათ... სოც.-დემოკრატიული პარტიის ცეკას ენერგიული დახმარებით მოხდა ყველა ორგანიზაციების გაერთიანება, ერთი ყველას მიერ ნდობით აღჭურვილ ცენტრალურ კომიტეტის ქვეშ... ამ უამად ორგანიზაციების ერთიმეორესთან და მათი ცენტრთან დაკავშირების საქმე უკვე საგსებით დასრულებულია და მუშაობა წესიერათ მიმდინარეობს. უნდა ითქვას რომ, ამ მუშაობაში ჩეკინ უფიდეს დახმარებას გვიწევენ ჩეკინი უფროსი ამხანგები სოციალდემოკრატიულ პარტიიდან და მთელი ეს ამაღლობინებელი მუშაობა ჩატარდა მათი სისტემა-ტიური დახმარებით...

10. ორგანიზაცია დოკუ.

ამეამად საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში ორგანიზაციები აღდგნილია. წევრთა საერთო რიცხვი უფროს 5.710-ს. ამათში მეტაფეები 2.730 კ. (46 პროც.), სოფლის ახალგაზღობა 1.996 კ. (35 პროც.), ქალაქის ახალგაზ. მუშები 1.084 კ. (19 პროც.), ვაკები საერთოთ 4.454 (78 პროც.), ქალები 1256 (22 პროც.), ქალების სიმცირე ორგანიზაციაში აისხნება მისი არალეველობით. რასაკირველია ეს რიცხვი გაცილებით ნაკლებია იმაზე რაც შესაძლებელი იყო ყოფილიყო ნორმალურ პირობებში. დღეს ორგანიზაციაში მიიღებიან მხოლოდ ისეთები, რომლებსაც აქვთ ხასიათის სიმტკიცე და შეუძლიათ აიტანონ ჩეკის ჯალათების სიმკაცრე. ისე ორგანიზაციის გარეშე მყოფ თანამგრძნობთა რიცხვი როჯერ მეტია.

ჩეკის მუშაობას ხელს უჭლის ცხადია ჩეკის რეპრესიები, მაგრამ ამავე დროს, ეს რეპრესიები და საერთოთ კუპანტთა პოლიტიკა იწვევს ძლიერ უკავყოფილებას ქართველ ახალგაზღობაში და მით მათ ჩეკინ რიგებისაკენ მოერექება. საჭიროთ მივგანია მოკლეთ გაგაცნოთ ეს მღვმარეობა.

11. ქართველი ახალგაზღობის მუციმარეობა.

«მოსწავლე ახალგაზღობა». ცნობილია, რომ ჩეკიში ახალგაზღობა ძლიერ ეტანება სწავლა-განათლებას. «მუშურ-გლეჩური» ხელისუფლება თითქოს სიამონებით უნდა ეგებებოდეს ამას, მაგრამ ჩეკინ გხერავთ სულ წინააღმდეგს. სასწავლებელში შესვლა წარმოუდგენლათ განხელებულია იმათვის, ვინც კომკავშირის წევრი არ არის. ხელისუფლება ციფილობს ახალგაზღების ლტოლვა სასწავლებლისაკენ გამოიყენოს თავის სასარგებლოთ და განათლების მოსურნეს სასწავლებლში შესვლის პირობათ უფებს კომკავშირში შესვლას. რაც დაწინაურებულიც არ უნდა იყოს ცოდნის მზრით უპარტიო ახალგაზღდა, მასზე წინ მაინც კომკავშირების მიიღებენ, თუნდაც უკანასკნელი სულ უკიცი იყოს. მაგალითად, უნივერსიტეტში შემსვლელმა გამოცემი უნდა ჩააბაროს 8 საგანში. რომ უნივერსიტეტში ჩარიცხომ ამ რვა საგანში უნდა მიიღოს საერთო ნიშანი არა ნაკლებ 32 ნახევრისა, კომკავშირელისთვის კი საკმარისია 19 ნა. ეშირათ ამითაც არ კმაყოფილდებიან და უპარტიოს განწრას უკლებენ ნიშანს კომკავშირელის სასარგებლოთ. ეს ისეთ უკავყოფილებას იწვევს ახალგაზდებში, რომ ამ ნიადაგზე გამოსვლასაც კი ჰქონდა ადგილი: ასეთი სიყალბისათვის სტუდენტებმა მაგრათ სცემეს პედაგოგიურ ფაკულტეტის დეკანს, რენეგატს კ. სულაქველიძეს. ამ საქმის გამო ამჟამათ ხუთი სტუდენტია დაპატიმრებული ჩეკიში.

უნივერსიტეტში კათედრები ჩამოართვეს ძველ დამსახურებულ პროფესიონებს და ლექტორებათ გახადეს არაფრის მცოდნე კომუნისტები, რომელთაც ეშირათ საშვალო სკოლაც არ უხილავთ. ასეთებია: «ხელმძღვანელი» ჩეკინი კულტურის ტაძრისა, არჩილ რუხაძე (კითხულობს სტატიისტიკას), ალ. ერქომაიშვილი (კოოპერაცია), პრორექტორი თალაკვაძე (პოლიტ. ეკონომიკა) — ყველანი დაბალი განათლებით, ყოფილი პირველი კურსის სტუდენტი ჩახვაძე და სხ.

მხსგავსივე მღვმარეობა დაბალ და საშუალო სკოლებში. საუკეთესო მასწავლებლები ან დახვერეტილობი არიან, ან გადასახლებული, ან ციხეში სხედან, ან დაუდგილოთ არიან. მათი ალაგი უჭირავთ ახალ კურსდამთავრებულ ექვს კლასიან კამკავშირელებს. ჩეკინი ტენიკუმები (გიმნაზიები) დღეს იმდენ მომზადებასაც კი არ საერგნ ახალგაზღას, რასაც წინეთ თორქლასიანი სასწავლებელი აღვევდა.

ასეთ სკოლებში შესასვლელათ გზა მხოლოდ კომკავშირელებისათვისაა გახსნილი.

მუშა-მოსამსახურე ახალგაზღობა. უკეთეს მდგომარეობაში არც ის ახალგაზღობაა, რომელსაც სწავლის საშვალება არ აქვს და იძულებულია იშრომოს. განსაკუთრებული ბედი და ენტერგია სწირია უპარტიოს, რომ მუშაობის შოვნა შესძლოს, რადგან სამუშაო კომუნისტისა და კომუნისტიკოლისათვის არის. უპარტიო უმუშევარს შორმის ბირეაშიც არ გაატარებენ. რათა ულმობელმა ციფრმა არ გამომჯდავნოს გაცილებით უფრო დიდი რიცხვი უმუშევართა, ვიდრე ამას ოფიციალური სტრუქტიკა გვიჩვენებს. შტატების შემოკლება საზოგადოთ უპარტიო მუშა-მოსამსახურეთა ხარჯზე სდება, არ არსებობს არავითარო კანონი და სამართლის სამართლიანი და კანონიერია ის, რაც კომუნისტების და კომუნისტირის «პასუხისმგებელ-მა» დღივნებმა გადასწყვიტეს. ისეთი მდგომარეობა შექმნილი არაკომუნისტებისათვის, რომ ახალგაზღაც კი ტკიცება, ჰყარგავს ნებისყოფას და სამუშაოს ან სამართლის ძეგლით ფიზიკურათ და ზეობრივათ მოქანული ხშირათ თვითმკლელობას სხადის. მაგალით მზადება. აი ერთი მათგანი: სახ. მეურნეობის უმაღლ. საბჭოში რეგისტრატორათ მსახურებდა ღარიბი ოჯახის შეკილი, ვაჩიერებილის ქალი; ეძღვოდა თვეში 25 მანეთი. რითაც ღუქმა-პურს აწვდიდა მასუც მშობლებს და ავადმყოფ დას. მოულოდნელათ მას ითხოვენ ვითომ შტატის შემოკლების მიზეზით. მაგრამ რამდენიმე დღეში მის ადგილზე იღებენ სხვას გაორკეცებული ჯამაგირით. ულუქმაპუროთ დარჩენილი ქალი გარდის ხამართლის საზოგადო ხან პროფესიის შირში, ხან აღმინისტრუციასთან, ხან შრომის სასამართლოში. მაგრამ ყოველივე ამაოა. სახლში კი ოჯახი შიმშილით უკვდება, ქალი ეძღვევა სასოწარკვეთილებას და საბჭოს კანცელიარიაშივე იღებს საწამლებს და სიცოცხლეს ესალმება. რამდენი მზაგასი ფაქტის მოყვანა შეიძლება! საზოგადოთ არასოდეს იმდენ თვითმკლელობას არ ჰქონია ჩევრში აღილი, როგორც დეს. გაჩეთის თვითმკლელ ნომერში წაიკითხავთ ოთხ-ხუთ შემთხვევას: «მიზეზი თვითმკლელობისა გამოურკვეველია...»

სოფლის ახალგაზღობა. მიზეზი სოფლის ახალგაზღობის უკმაყოფილებისა ხელისუფლებით იგივეა, რაც საზოგადოთ ჩევრი სოფლის მშრომელთა უკმაყოფილებისა: სოფლელთა სრული უუფლებობა, აგრარული ურთიერთობის (რომელიც მოწესრიგებული იყო დემოკრატიული მთავრობის მიერ) სრული არევ-დარევა, გადასახადების წარმოუდგენელი ზრდა, საგარეო ვაჭრობის მონაბრლით და ქალაქის წარმოების დეზორგანიზაციით გამოწვეული სიძირი, უმუშევრობა და სხ.

დემოკრ. რესუბლიკის ტროს გატარებულ აგრარულ რეფორმის ძალით მიწის ნორმათ შეიძიო დესიტინა იყო მიჩნეული. ოკუპანტებმა აქაც მოინდომეს «რევოლიუციის» მოხდენა, მაგრამ გადაწყვეტილი საკითხი, რომელიც არავითარ უკმაყოფილებას არ იწვევდა, ისევ არიდარის მიწების ხელახალი გადანაწილებით. ეს გადანაწილება მოახდინეს ისე, რომ ესარგებლა კომუნისტებს და მათ ამყოლთ. ეხლა ჩევნს საფელში ხშირათ შეხვდებით მოსახლეს, რომელსაც 7 კი არა, 10 12 დესიტინა მიწა აქვს. ის უსათუოდ კომუნისტია ან მისი ნათესავი. ამ საკითხში არ არსებობს არავითარი კანონი: მიწას ართმევენ იმას, ვისაც ნორმაზე ნაკლები აქვს და აძლევენ მას, ვისაც ის საკმაოთ ან ნორმაზე მეტი აქვს. ართმევენ უპარტიო მშრე-მელთ და ახორციელებენ ბუხარინის ლოზუნებს: კომუნისტებო, გამდიდრდით!

დემორატიული მთავრობის დროის გადასახადები ხომ სრულ არარობათ ხანს დღევანდელთა შედარებით, რომლებმაც გაცილებით გაასწირო მეფის დროისასაც კი. მათ ზრდას საზღვარი არ უჩანს. ხაზინა. რომელიც მუდმივ დაცლილია მფლანგველობის და უცხო კომპარტიების შენახვის წყალობით, უნდა შეაგსოს სოფლის მშრომელთაგან აკრეიციონა გადასახადება. ამას ზედ ერთვის აუტანელი სიძირი. კონტრაბაზით, სადღაც ტკე-ლეში გაღმოტანილი უცხოეთის საქონელი ღირსებითაც გაცილებით უკეთესია და ფასითაც შეუდარებლივ უფრო იაფია. ვიდრე საბჭოთა წარმოების დამპალი საქონელი. ამას დაუმატეთ, რომ ეს დამპალი საქონელიც არ მოიპოვება საქმარისი რაოდენობით. სოფლის მეურნეობა დაეცა, რადგან სოფლის ნაწარმოების ფასები, დაწესებული ვაჭრობის მონაბრლითა მთავრობის მიერ, ძლიერ დაბალია. სოფელი საესეა უმუშევრებით, განსაკუთრებით ახალგაზღადა უმუშევრებით; საშუალო საწავლებელ დამთავრებულთ დაბული აქვთ უნივერსიტეტის გზა და უერთდებიან სოფლის უმუშევრართა ალქარს. ამ ყოველგვარი ვაჭრილებით და შეკიწროებით უკმაყოფილო მშრომელთ არ აქვთ უფლება თავისი გულისტკივილზე ხმამაღლილა ილაპარაკონ. ამისთვის მას მოელის აუცილებელი ციხე და ხშირად გადასახლება. სრუ-

ლი ბატონ-პატრონი სოფლის ცხოვრების არის ორითდე კომუნისტი და ამდენივე კომქავშირელი. ამათი სახით შეიქნა სოფლათ ნამდვილი ახალი წარჩინებული წოდება. «ახალი აზნაურები» არ იხდიან არაეითაში ბეგარას სახელმწიფოს სასაჩვებლოთ და ყოველ ნაბიჯზე მათრახით ხელში აკიწროებენ ტყავგამძერალ მშრომელთ.

რეპრესიები უკიდურესი გაჭირვება და შევიწროება ქალაქში, კიდევ მეტი სოფლათ, იწვევს უკმაყოფილებას მთელს ხალხში. ხელისუფლება ცდილობს გაძლიერებული რეპრესიებით ჩატკლას პროტესტის ხმა. იმის აღწერა, რაც ხდება ჩვენში ამ 10 თვის განმავლობაში, შეუძლებელია. წამებასა და ციხეს ჩვეულთათვისაც კი აღმაშფოთებელია ეს რეპრესიები. ბათუმის ჩეკაში იქაურ ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის თავმჯდომარე, ამხ. კირილე გოგაძე გამოტეხის მიზნით რამოდენიმე თვე ჰყავდათ ჯოჯოსთურ პირობებში; ყოველდან გაპყავდათ დასკართხავათ და სცემდენ, ხოლო როცა ვერაფერი გაიტანეს, წამებით დამზადალმა (აწამებდა უმთავრესად ჩვენისტი სიტყინი) თავში გირი დაარტყეს, ჩაუმტვრის თავის ქალა და სიცოცხლეს გამოასალმეს. ისავე ბათუმის ჩეკაში ჩვენისტ ისაკაძემ აწამა ახალგაზრდა პაპუაშვილი, რომელმაც ვერ აიტანა წამება და წინააღმდეგობის გაწევა განიჩრაა. პაპუაშვილი ამის გამომოკლეს იქვე «გამომძიებლის» კაბინეტში. ლუზრგების ჩეკაში მთელი კვირეები აშიმშილებ და სცემეს ახალგაზრდა შარქსისტებს მ. მგელაძეს, გ. მსხალაძეს, ღუმბაძეს, სიხარულიძის ქალს და სხვ. თფილისის ჩეკაში ცემით ყდის ძვლები ჩაუმტვრის გ. ფოცხიშვილს; შ. ბერძნენშვილს თმები ტყავითურ აგლეჯილი აქვს და დაავათმყოფებულს დღესაც არ აძლევენ საშუალებას იაქიმოს.

წამებათა აღწერას დასჭირდებოდა აუარებელი დრო და ქალალდის მთელი თაბაზი. თვით ჩეკისტები არ მაღავენ იმას, რაც ჩეკაში ხდება. ამიერკავკასიის ჩეკის რწმუნებული ოზურგეთის ჩეკასთან, ვიღაც გიორგაძე, ერთს სოფლის მიტინგზე ასწერდა ჩეკის საშინელებებს და ხალხს ემუქრებოდა კიდევ უარესი დღე დაგადგებათ, ვინც ქედს არ მოიხსინო აკუთანტების წინაშეო. მან და პ. მეჟიძემ, საქართველოს ჩეკის მთავარმა თანამშრომელმა, პირდაპირ განაცხადეს, არავითარ პასუხს არ ვაგებთ, ჩეკაში თუ თვეში 4-5 კაცზე მეტი შემოგვაკვდება წამებაშიო.

ცემით დასხეულებულებით საგვეა ციხის საავადმყოფოები. პატიმრებით საგვეა ციხე და ჩეკის სარდაფები. დაპატიმრებულ ახალ. მარქსისტთა რიცხვი დღეს უდრის 250-ს, გადასახლებულთა საერთო რიცხვი 1928 წლისთვის 800-900-ს დაახლოვებით. სწორი ციფრის მოცემა დღეს შეუძლებელია. ნამდვილათ გადასახლებულთა რცხვი მეტია; საკმარისია სულ უბრალო მიზეზი ან იჭვი გადასახლებისათვის. 1927 წლის გაზაფხულზე თფილისის სამეურნეო ტექნიკუმიდან გამორიცხეს 26 მოწაფე. ნაწილი ამათგან ახლაც ციხეში ზის, ნაწილი კი უკვე გადასახლება. ცვლანი მცირეწლოვანები არიან. დატუსალების საბაზი იყო ის, რომ მოწაფეების საერთო კრებამ არ მიიღო კომკავშირელთა რეზოლუციის საოკუპაციო რეჟიმის მოწნების შესახებ.

12. ჩვენი დღევანდვლი მუშაობა.

ჩვენი შეხედულება ქართველი ერის განმათ. მოძრაობაზე. უმთავრეს ყურადღებას მარქსისტული ახალგაზრდობა აქცევს დღეს ხელისუფლებასთან ბრძოლას. მისი მუშაობა სავსებით შეთანხმებულია საქართველოს ს.-დემ. პარტიის ხელმძღვანელობასთან, რომელთანაც მას უმჯიდოოები კავშირი აქვს. ხელისუფლებასთან მებრძოლი ძალების მეთაური საქართველოში დღეს არის სოც.-დემოკრატია. ჩვენი შეხედულებანი საქართველოს დამოუკიდებლობაზე და ოკუპანტებთან ბრძოლის მეთოდებზე ისეთივეა, როგორც საერთოდ ს. დ. პარტიის. ჩვენ ლრმად ვართ დარწმუნებული. რომ საქართველო ვერ აღორძინდება ვერც კონსოლიდაც, ვერც კულტურულად, თუ მან არ აღადგინა თავისი დაკარგული დამოუკიდებლობა. მე-19-ე საუკუნის დასწყისში მან დაკარგა თავისი დამოუკიდებლობა და გადაიქცა რსესოთის ორ გუბერნიათ მხოლოდ იმიტომ, რომ მას ორი მხრით აწვებოდა ძლიერი მტრები: სამხრეთ აღმოსავალეთით სპარსეთი ხოლო სამხრეთ დასავლეთით—ოსმალეთი, რომელმაც კონსტანტინოპოლის დაკავებით ჩაფერა დარღვეულ და მით მოგვჭრა გზები ევროპისაკენ. სულ სხვა მდგომარეობა დღეს. სპარსეთი არამც თუ დამცირობ ძალას არ წარმოადგენს, არამედ თვით დაპყრობის და კოლონიათ ქეყვის შიშის ქვეშ იმყოფება; ხოლო მეორე ძალა, ისმალეთი ისეა დასუსტებული, რომ თავისი დამოუკიდებლობის შერჩენის მიზნით დაინტერესებული უნდა იყოს ჩვენი დამოუკიდებლობის აღდგენაშიაც. დღი

დღიერი მოსაზღვრე სახელმწიფო ყოველთვის უფრო საშიში იქნება მისთვის, ვინემ პატარა და მშეგიღმანდის მოსურნე საქართველო. მესამე ძალა, რომელიც გვპყრობდა ჩენ 117 წლის განმავლობაში და რომელმაც მხოლოდ ფერცვლილმა, 1921 წლს კვლავ დაგვადგა მონაბის ულელი, დღეს აშკარა დაშლის გზაზე შემდგარი. რუსეთი დიდი და ძლიერი იყო მასში უმავალ დიდ და პატარა ერებით. მაგრამ დღეს ეს ერები იღვიძებენ და იგნებენ დამოუკიდებლობის აღდგენის საჭიროებას. ასეთია უკრაინა 30 მილიონი მცხოვრებით, თურქესტანი, თეთრი რუსეთი, მთა, ახერბაიჯანი, სომხეთი და სხვ. არც რუსეთს და არც ამ ერებს, ერთად გვერთიანებულს, ერთ დიდ იმპერიაში, არ უშეუძლიათ ორაც შესამჩნევი ნაბიჯების გადადგმა ეკონომიური და კულტურული განვითარებისაკენ. პერიფერიებიდან საგრძნობლათ დაშორებულ ერთ ცენტრისათვის ყოვლად შეუძლებელია გათვალისწინება იმ მრავალ სხვა და სხვა ინტერების და ზნე ჩვეულების, რომლებიც ძლიერ განასხვავებენ ერთმანეთისაბან ამ ერებს; შეუძლებელია მათი განსხვავებული მოთხოვნილებებისათვის სათანადო ყურადღების მიქცევა. ამიტომ, მთლიან რუსეთის იმპერია, როგორი რეექტიცია არ უნდა იყოს შეგ, მუდამ იქნება სათავე ეკონომიური და პოლიტიკური ანარქიის.

რუსეთის დაშლას და თავის შემადგენელ ერებათ დაყოფას მოითხოვს არა მარტი პატარა ერების და საბათ გაგებული თვით რუსეთის ინტერესები, არამედ ამას მოითხოვს ინტერესები მსოფლიო მეურნეობის. კაცობრიობის წინსვლის.

მეოცე საუკუნე არის პატარა ერთა გამოლვიდების და დამოუკიდებლობისაკენ ლტოლვის საუკუნე. უპირველესათ რუსეთი ვერ ასცდება ისტორიული განვითარების ამ კანონის. ის უსათურო დამშლება. სოციალიზმის და ინტერნაციონალიზმის საქმე ამით ბევრს მოიგებს. ამაში არის იმავე დროს გარანტია ჩვენი დამოუკიდებლობის,

ჩვენი ორგანიზაცია, იზიარებს რა ასეთ შეხედულებებს, ფიქრობს, რომ ჩენ ყოველ დღე უახლოვდებით ამ სანატრელ ყამს. რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია იმის თქმა თუ როდის იქნება ეს, მაგრამ რომ ეს მოხდება, ეჭვს გარეშეა. ჩვენი მოვალეობაა, მხარ ყვით მუდამ, რომ საჭირო დროს არ დაერჩეთ მოუმხადებელი. ჩვენი მთავარი ყურადღება აქტივება მიქცეული...

კულტურული მუშაობა. ამ მუშაობის გვერდით, როგორც წარსულ პერიოდში, კულტობრივი, რამდენათაც ეს შესაძლებელია ამ ჯოჯოხეთურ პირობებში უყურადღებოთ არ დავტოვოთ ორგანიზაციის წევრთა კულტურული აღზრდის საქმე. ცხადია ჩვენი ცნობილი ჯგუფური მეცანიერების წარმოება წრებებში ყოვლათ შეუძლებელია რეპრესიების გამო, ამიტომ დღეს გვმაყოფილდებით ამხანაგებისთვის საჭირო ლიტერატურის მოწოდებით თვითგანვითარებისათვის. ამ მიზნით ჩენ მოვაწყეთ რამდენიმე წიგნთსაცავი, საიდანაც ამხანაგებს შეუძლიათ იშვინობ ისეთი წიგნები, რომელიც ხელისუფლების მიერ აკრძალულია. ცენტრალურ კომიტეტთან არსებობს სპეციალური კულტურულ-გამანათლებელი კომისია, რომელიც აწვდის ორგანიზაციებს რჩევა-დარიკებას თუ რომელი წიგნი წაკითხონ ამა თუ იმ საკითხის შესასწავლათ, პასუხს აძლევს სხვადასხვა სახის შეკითხვებზე და საერთოდ აწვდის მათ ასენა-განმარტებებს ამა თუ იმ კითხვაზე. ამ ცოტა სანში განზრას გვაქვს უურნალის გამოცემა. ამ ხანათ ჩვენი გამომცემლობა ამოიწურება ფურცლების გამოშვებით.

დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე თარგანიზაციის წევრების წევრობივ მხარეს. ჩვენთა ფეხს ვერ დადგამს (ან თუ შემთხვევით ეს მოხდა დიდხანს ვერ გაჩერდება) დებოშიორი, ინტრიგანი, სქესობრივათ თავა შევებული და საზოგადოთ ცუდი ყოფაქცევის ახალგაზრდა. ზნეობრივი სიწმინდის მხრით ჩვენი ორგანიზაცია კველას მიერ სანიმუშო თავ მიჩნეული. მეგონებას დალიან შშირათ თვით ჩვენი მტრებიც ალნიშნავნ. ჩეკისტ პიხელიავამა (პოლონელია), რომელსაც სპეციალურათ ჩვენი ორგანიზაციის წევრების საქმეები ქანდა ჩეკაში მინდობილი, და რომელიც ამიტომ სკვამოთ კარგათ იცნობს ჩვენს ორგანიზაციას, განაცხადა, რომ მას სასოწარკვეთილებში აკდებს კომკავშირის ახალგ. მარქ. ორგან-თან შედარება. მისი აზრით კომკავშირელთა 80 პროც. მისი სრული გარეუნილების გამო დასახვრეტია, და თუ მარქსისტთა თარგანიზაციიდან არის ვინმე დასახვრეტი არა უზნეობის გამო არამედ, როგორც გაუსწორებელი მენშევიკია.

13. ქართველი ახალგაზლიდების სხვა დარგანიზაციები და ჩვენ.

... სხვა ახალგაზლიდებით თარგანიზაციებთან (მაგ. ახალგაზლა სოც.-ფედერალისტთა და ახალგ. ნაც.-დემოკრატების ორგანიზაციასთან) თუ ასეთები საღმე კი არსებობენ

კარგს განწყობილებაში ვართ. საერთოდ უნდა ითქვას, რომ სხვა ორგანიზაციები ერთობ მოისუსტებენ. მათ ვერ გაუძლეს მტრის რეპრესიებს... ჩვენ მათ უწევთ დახმარებას უმთავრესათ იმფუძველი მიწოდების სახით... ჩვენი ინიციატივითვე 1927 წლის ბოლოს აღდგენილ იქმნა ახალგაზრდობის საერთო გამოსვლების სახელმძღვანელოთ ახალგაზრდობის ინტერპარტიული კომიტეტი და სტუდენტთა არალეგალური კავშირი თავის გამზეობით, რომლის საშავლებით ჩვენ ვცდილობთ ჩვენი უნივერსიტეტის სასესხით გაპარტაცების წინააღმდეგ ბრძოლას.

14. დასკანი.

ასეთია ამხანაგებო, ჩვენი ორგანიზაციის ზოგადი სახე 1927 წლის თავზე... ჩვენი ორგანიზაციის გავლენა დღითი დღე იზრდება... ჩვენ ლრმათ გვწამს ჩვენი საქმის სიმარტლე და მისი უჟრულესობა გამარჯვება და ეს გვმატებს ბრძოლის ენერგიას და გვატანინებს საშინელ ტანჯვაწამებას. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ ტირანის დღეები და თვლილია და საქართველოს განთავისუფლების უამი მოახლოვებული. მაშინ ჩვენი ორგანიზაციის მუშაობაც ნორმალურ კალაპოტში ჩადგება და მისი მუშაობაც გაცილებით ნაყოფიერი გახდება. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ ჩვენი მთავარი ყურადღება კვლავ თეორიულ-კულტურულ საკითხებზე გადავა და ჩვენი ორგანიზაცია მისცემს სოც-დემოკრატიულ პარტიის შესაფერისათ მომზადებულ მებრძოლათა ჩატმებს...

ამხანაგური სალამით საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის
ცენტრალური კომიტეტი.

(ხელს აწერენ ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე და მდივანი, აზის ცეკას ბეჭედი).

1 იანვარი 1928 წ.

გვთდით ასალგაზდა საფრინდობო მომრადიდან.

გერმანია და ავსტრიელების შემდეგ პოლანდიელებს უჭირავთ მთავარი აღგილი ახალგაზრდა სოციალისტთა ინტერნაციონალში. თუ ავსტრიელები მთავარ ყურადღებას ახალგაზრდობის პოლიტიკურ აღნდას აქცევენ, პოლანდიელები წინააღმდეგ ახალგაზრდობის მოძრაობს მთავარ საგნათ კულტურულ აღნდას, ახალი სოციალისტურ ფსიხოლოგიის შექმნას აღიარებენ. პოლანდიელ სოციალისტურ ახალგაზრდობის მოძრაობა არის უწინარეს ყოვლისა კულტურული მოძრაობა.

პოლანდიელების პრესში, ისე როგორც მათ ლიდერებთან საუბარში, ჩვენ გვესმის ყოველთვის ეს არგუმენტი: ჩვენ ორგანიზაციაში იყოფებინ უმთავრესათ ახალგაზრდები 14-დან 20 წლამდე. მათ უწინარეს ყოვლისა ესაჭიროება კულტურული მომზადება, ყოველდღიურ პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობა კი მათ არ აინტერესებთ. ჩვენ უნდა შევეცადოთ მივცეთ მათ ის, რაც თანამედროვე საზოგადოების პირობები მათ ვერ აძლევენ, მეცნიერული ცოდნა, ესტეტიკური გრძნობის განვითარება, თეატრის, მუსიკის, სიმღერის, ცეკვის და საერთო ხელოვნების ნაწარმოებთა საშუალებით. ჩვენ უნდა მივცეთ მათ სამშალება მძიმე პირობებში მუშაობის შემდეგ დაისვენონ ფიზიკურათ და მორალურათ. ახალგაზრდებმა უნდა იცხოვონ ახალგაზღულათ და სასესხით განიცადონ ახალგაზღულ ცხოვრების სილამაზე. ჩშირათ ერთათ ყოფნა, ერთათ მოგზაურობა და მაცადინეობა გააძლიერებს მათში სოლიდარობის და ნამდვილ ამხანაგობის გრძნობას. სამეცნიერო წრეებში ახალგაზრდები გაეცნობიან სოციალისტურ მსოფლმხრეველობას, სოციალისტურ ბრძოლის მიზნებს და შინაარსს.

ამგვარათ კულტურული და სოციალისტური აღნდა ერთი მეორეზეა გადამული. პოლიტიკური მუშაობა, ყოველდღიურ პოლიტიკურ ბრძოლაში მონაწილეობა, რაც ახალგაზრდებს ნაკლებათ აინტერესებს, მალე მობეჭრდებათ მათ და იმ დროს, როდესაც ცხოვრება მათ მოსთხოვს პოლიტიკურ ბრძოლაში აქტიურათ ხაბმას, ე. იგი სრულწლოვანობის დროს, ამისათვის მათ ადამ ექნებათ სათანადო ხალისი.

ეს არ ნიშანს, რომ ახალგაზრდობა სრულებით პოლიტიკის გარეშე უნდა იღებს, არა, პირიქით, იქ სადაც საერთო ხსიათის გამოსვლებს აქვს აღილი, ახალგაზრდობაც იღებს მონაწილეობას და შეაქვს თავისი წელილი მუშათა პოლიტიკურ მოძრაობაში.

ასე მაღალითად 1 მისის ან და ომის წინააღმდეგ მიმართულ მანიფესტაციებში ახალგაზდობა უფროსებთან ერთათ გამოდის. აგრეთვე არჩევნების დროს, ახალგაზდები ეხმარებიან უფროსებს საარჩევნო კამპანიაში. მონაწილეობას იღებენ აგრეთვე პროფესიონალურ მოძრაობაშიც. მაგ., ერთ გაფიცვის დროს ახალგაზდებმა გაყიდეს 20.000 კარტა და ამგვრათ 1.200 გულდენი მოაგროვეს გაფიცულთ დასახმარებლათ. მაგრამ ყველა ამათ უჭირავთ მეორე ხარისხოვანი ადგილი ორგანიზაციის საერთო მუშაობაში.

თვით ორგანიზაცია პოლანდიელ ამხანაგებს შესანიშნავათ აქვთ მოწყობილი. წევრთა რიცხვი თანადათან იზრდება

1923 წელს ორგანიზაციაში ითვლებოდა 78 ჯგუფი—2691 წევრით

1926 წელს კი ” ” 91 ჯგუფი—7680 წევრით.

1926 წლის შემდეგ ორგანიზაცია კიდევ უფრო გაიზარდა.

ორგანიზაციას აქვს თავისი ცენტრალური ორგანიზაციების ინსტრუმენტები და ეკსკურსიებისათვის საჭირო საგნები. ამ მაღაზიას 1923-ში ჰქონდა 2.700 გულდენი მოგება

და 1926 წელს 10.000 გულდენი.

მან მოწყობა აგრეთვე შემნახველი კასა, რომელშიცა 1925 წელს, მაგალითათ, შემვიდა 20.000 გულდენი.

გარდა ამისა ექსკურსიების მოსაწყობათ დაარსდა განსაკუთრებული ფონდი, რომელიც 1925 წელს 4375 გულდენს უდრიდა. ექსკურსიებს და მასიურ შეკვედებს შედარებით ხშირად აქვს ადგილი. 1925 წელს მაგალითათ მოხდა 4 შეხვედრა, სადაც მონაწილეობა რიცხვი აღწევდა სულ 4.800-ს. ამ შეხვედრის დროს ახალგაზდები ღამეს უფროს მუშებთან ათვევდნ, და ეს გარემოება, ხელს უწყობს უფროს და ახალგაზდა მუშების ერთმანეთთან დაახლოვებას.

ორგანიზაციამ შეძლო თავისი სააგარაკო სახლის შეძენა, სადაც ყოველწლიურათ მრავალრიცხვოვანი ახალგაზდობა იყრის თავს. გარდა ამისა დაახლოვებით 30 ადგილობრივ ორგანიზაციას აქვს თავისი ბინები, სადაც იყრიბებიან ახალგაზდა მუშები, როგორც სამაცადინოთ ისე გასართობათ.

სამეცადინო წრეები და კურსები ძალიან ფართოთ არის გავრცელებული და კარგათაც მოწყობილი. ამ წრეებში ახალგაზდები იღებენ საერთო კულტურულ განათლებას და სოციალისტურ მსოფლიმებდევლობას. ეცნობიან, აგრეთვე დაარსებულია ხელმძღვანელთა მოსამართებელი კურსები. ამ კურსებში უმთავრეს ყურადღებას აქცევენ ერთი მხრით ახალგაზდა მუშათა მოძრაობის თეორიულ საფუძველს და მასთან დაკავშირებულ პრობლემებს და, მეორე მხრით, ყველა საორგანიზაციო კითხვებს, რომელიც ეხება ახალგაზდა მუშათა მოძრაობას. ამ კურსების რიცხვი უდრის ყოველწლიურათ 15-20-მდი თვითეულ პროვინციაში, კურსებს ესწოება საშუალო 80 კაცი. საერთოდ პოლანდიელების ორგანიზაცია სამაცადინოთ ითვლება მთელ ინტერნაციონალში. მათი ორგანიზაციული ნიჭი ჩვენ განსაკუთრებით დავინახეთ 1926 წელს ამ სტრუქტურის მასიურ შეხვედრისა და კონგრესის დროს. პოლანდიელ ამხანაგების თვალსაჩინო ლიდერებათ ითვლებინ—კოორდინატორი და კლას ტრონსტრი.

იმა.

ქ რ ღ ი ნ ი ქ ა.

ჩვენი ორგანიზაციები საფრანგეთში. საფრანგეთის სხვადასხვა ქალაქებში ამ უამათ იმყოფება ასამდე გადმოხვეწილი ჩვენი მხანაგი. (ამათში უმრავლესობა სტუდენტებია). ესენი თითქმის ყველანი აქტიური მონაწილენი იყენენ ჩვენი ახალგაზდების განმათავისუფლებელი მოძრაობის და რეპრესიების გამო იძულებული გახდენ მიეტოვებით სამშობლო და აქ შეეფარებიათ თავი. მათგან 32 კაცი პარიზში იმყოფება და გაერთიანებული არიან აღილობრივ ახალგაზდების ორგანიზაციაში, რომლის მიზანია თავის წევრებში კულტურული მუშაობის წარმოება. მეორე ორგანიზაცია არსებობს ოდენცურში და ის აერთიანებს 20 ახალგაზდას. უფრო მცირერიცხვანი ორგანიზაციები არსებობენ აგრეთვე ბორდოში და ტულუზში.

ჩვენი საზღვარ-გარეთელი დელეგაცია. ჩვენ მივიღეთ საქართველოს ახალგაზრდა მარქსისტთა ორგანიზაციის ცენტრალური კომიტეტისაგან წერილი, რომელშიაც იტყობინებიან ჩვენი ორგანიზაციის საზღვარ-გარეთელ დელეგაციის გადარჩევის შესახებ. დელეგაციის თავმჯდომარეთ და ჩვენს წარმომადგენლათ ახალგაზრდა სოციალისტურ ინტერნაციონალში დანიშნულია ისევ ამს. მ. ხუნდაძე. წერილს თან ახლავს სათანადო მანდატები.

მუშათა სოც. ინტერნაციონალის კონგრესი. ბრიუსელში აგვისტოში შესდგება მუშათა სოც. ინტერნაციონალის კონგრესი. დელეგატთა შორის საქართველოს სოც.-დემოკრატიის საზღვარგარეთელ ბიუროს მიერ არჩეულია ჩვენი წარმომადგენელი ახალ. სოც. ინტერნაციონალში ამს. მხუნდაძე.

ჩვენი ფერნალის ფონდი.

მივიღეთ 80 ფრ. ამს. ი. ბოცვაძე, გ. ლომაძე, ვ. თოთიბაძე, ვ. ჭურლულაშვილი და გ. ბაკურაძისაგან.

ამს. ს. კოსტავა, გრ. და გერ. ბარამიძისაგან 50 ფრ.

პარიზის უფროს ამხანაგებში შეგროვილი 75 ფრ.

ჩვენი ვალდებულება!

საქართველო დაიპყრეს, მარა ის ვერ გატეხეს, მას თავისუფლება წართვეს, მარა თავისუფლების ცეცხლი გულიდან ვერ ამოაგლიჯეს.

წითელმა მოსკოვის საქართველოს დამარტვა მოიწადინა, მარა ის ფეხზე დგას და ყოველ დღე, ყოველ წუთს მტერს უტევს და იბრძვის.

საქართველო დოსაც ბრძოლის ასპარეზია, მთელი მისი მიწა-წყლის გასწვრივ ბრძოლის ხაზი გავლებულია, ბარიკადები აგებულია; აქეთ ქართველი ერია, მისი დემოკრატია. მისი დრშაა; იქეთ გაწითლებული მოსკოვი და მის აგენტთა ლაშქარია.

პირველი სამართლიანობას ესარჩევება, თავის უფლებათა აღდგენისათვის იბრძვის, ის დამორჩილებული, უფლება ახდილი ქვეყანაა.

მეორე ყოველდღე სამართლიანობას არღვევს, სხვის უფლებებს იტაცებს, სხვის ნაშრომს და ნაამაგარს ისაკუთრებს. ის დამპრობელი და მხაგრებული ძალაა.

ეს ორი სხვადასხვა ქეყანაა და მათ შორის ბრძოლა გაჩაღებულია. ჩვენი თანა-გრძნობა საქართველოს მზარეზეა, ჩვენი იმედები ქართველი დემოკრატიის გამრჯვებასთან არის დაკავშირებული.

თანაგრძნობას გამოხატულება უნდა მიეცეს, იმედებს საფუძვლის გავლა ესაჭიროება.

ჩვენი პლიტიკური ტუსალები მეტაზ მძიმე პირობებში ცხოვრებენ: ავათ-მყოფობა, შიმშილი, ტანჯვა-წვალება—აი მათი ყოველდღიური ხვედრი.

ჩვენ ვალდებული ვართ მათზე ვიზრუნოთ; ერთი შევგიძლია: თვეში ერთი დღის შემოსავალი ჩვენ პლიტ. ტყვეთა დასახმარებლათ გავიღოთ.

ამს. მუშება! შეკარით ჯგუფები, აირჩიეთ ჯგუფის წარმომადგენელი, აგრძელეთ შემოწირულებანი და ყოველ თვე საქ. ს. დ. საჭ. ბიუროს კომისიას უგზავნეთ შემოსული დახმარებანი.

ეს ჩვენი მოვალეობაა, არ დავიგიშვოთ!

ბიუროს კომისია.